პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲡᲐᲥᲛᲔ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 ივლისი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 130 (9544) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲜᲝᲠᲩ მოფარიკავეთა ტურნირს, რომელიც სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით ჩატარდება, 1-8 აგვისტოს ჭუთაისი უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ტ. მესხის ხელმძღვანელობით კარგა ხანია საგულდაგულოდ ემზადება მომავალი ასპარეზობისათვის.

გუნდი ამჟამად თბილისშია. ეს ფოტოსურათები, რომლებზეც ნაკრების წვრთნის მომენტებია ასახული, ჩვენმა კორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გუშინ გადაიღო დედაქალაქის საფარიკაო დარბაზში.

გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება

ᲥᲐᲛᲘ ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ

ბოლო წლებში ზესტაფონის რაიონში თვალსაჩინო სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ძვრები იგრძნობა. აქ კარგად იცვალა რა სიკეთე მოაქვს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. რაიონის ხელმძღვანელების ენერგიული და მიზანდასახული მუშაობის შედეგად ფიზიკური კულტურა ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

ამ წარმატებებზე თამამად ლაპარაკის უფლებას ამ სტრიქონების ავტორს ზესტაფონის რაიონში რამდენიმე მივლინება აძლევს. დიახ, არამარტო ბოლო წლებში, არამედ ამ ექვსი თვის მანძილზეც ბევრი კარგი რამ გაკეთდა აქ. ცვლილებები თვალის ერთი გადავლებითაც ადვილად შესამჩნევია. მალე, ალბათ, დეკემბერ: „გადავაქციოთ ზესტაფონი მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის რაიონად“ სინამდვილედ იქცევა. ამაში გვარწმუნებს ის დიდი აღმშენებლობითი საქმიანობა, რომელსაც მთელი რაიონი მოუცავს.

ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ: შარშან წლის დამლევს ვესტუმრე ზესტაფონს. სწორედ მაშინ გავიცანი რაიონის თავკაცი, ვისთან მცირე ხნით საუბარმა დამარწმუნა, რომ იგი დროსა და ენერგიას თანაბრად „ანაწილებს“, ყველა უბანზე ერთნაირი გატაცებით იღვწის. მისი მსმენელი გულგრილი ვერ დარჩები, იგი „გაიძულებს“ გაუგო, რა გრძნობა აკავშირებს რაიონის ახალგაზრდა ხელმძღვანელს მშობლიურ კუთხესთან და აუხსნელად გაგო რა არის მისი საქმიანობის ქაკუთხედი.

მაშინ რაიკომის პირველი მდივნის ჯემალ გორგოძის სამუშაო მაგიდაზე „ლელოს“ ის ნომერი იდო, რომელშიც შეჯამებული იყო სსრ კავშირის ხალხთა IX საზაფხულო სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტული დელეგაციის მიერ ნაჩვენები შედეგები. გაზეთის ფურცელზე გაკრული ხელით ნაწერმა მიგვანიშნა, რომ საგაზეთო პუბლიკაცია „დაემუშავებინათ“. ასე რომ, პირველი შეკითხვის დასმა არ გასჭირვებია.

ჯ. გორგოძე: ძალიან დაგვაინტერესა ამ ორგანიზლურად შედგენილმა რუკამ. იმ მიღწევების ფონზე, რითაც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა IX სპარტაკიადაზე ასახელეს თავი, ჩვენი რაიონის სპორტსმენთა წვლილი უფერულად გამოიყურებოდა: მხოლოდ ერთი „დელეგატი“ გვყოლია. როგორც ამბობენ, გაირკვა, ისიც კარგა ხნის წინათ გადასულა თბილისში, O ქუჩა — აი, ჩვენი წვლილი. ეს არა მარტო დამაფიქრებელ, არამედ საგანგაშო ფაქტად მივიჩნიეთ.

გავიხსენოთ წარსული. ზესტაფონში ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს ჩქეფდა სპორტული ცხოვრება. რკინიგზის ხაზის გაყვანამ ამ რეგიონში სპორტის სხვადასხვა სახეობების გავრცელებას შეუწყო ხელი. მაშინ უკვე თამაშობდნენ ჩვენში ფეხბურთს, ფრენბურთს, დიდი ყურადღება ექცეოდა ეროვნულ სახეობებს. ასე იყო რევოლუციამდე, შემდეგაც. აქ არაერთი სახელოვანი სპორტსმენი, მწვრთნელი აღიზარდა. ს. საყვარელიძე, ჯ. მაჭავარიანი, თ. შეკინა, ო. დადუნაშვილი, გ. პეტრიაშვილი, მ. სალაძე, მ. და თ. ლეჟავები, ა. კიკნაძე სპორტის სხვადასხვა სახეობებში წარმატებით იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორ-

იხ. მე.2 გვ

საბჭოთა კავშირის თასზე

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩი. ადგილობრივი „დინამო“ შეხვდა იაროსლავლის „შინაკს“.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 4:1.

მატჩის შემდეგ შედგა „მესამე ტაიმი“. სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე ფეხბურთის გულშემატკივრების და ჟურნალისტების წინაშე წარსდგნენ „დინამოს“ ხელმძღვანელები და გუნდის წევრები, რომლებმაც უპასუხეს მრავალრიცხოვან შეკითხვებზე.

• • •

ლანჩხუთის „გურიამ“ თავის მინდორზე მიიღო ვოლგოგრადის „როტორი“. თამაშის შედეგია 4:2 ლანჩხუთელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

სოხუმის დინამოელებმა მეთექვსმეტედფინალის მატჩი მინსკში ჩაატარეს ადგილობრივ თანაკლუბელებთან. გაიმარჯვეს მინსკელებმა — 2:1.

• • •

განვლილ კვირას გაიმართა თასის გათამაშების ორი მატჩი. მოსკოვის „სპარტაკმა“ შინ ანგარიშით 1:0 დაამარცხა რიგის „დაუგავა“, ხოლო ცსკა-მ თავის მინდორზე ასეთივე ანგარიშით მოუგო ლუცკის „ტორპედოს“.

ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲒᲐᲕᲓᲜᲔᲜ

ᲡᲣᲑᲝᲢᲘᲪᲘᲡ (იუგოსლავია) მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირში გათამაშდა X და XI ტურის შეხვედრები. ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების ორთაბრძოლები. მიხეილ ტალისა და უნგრელი ზოლტან რიბლის პარტია ყაიმით დამთავრდა. ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა ეგვიპტელ ჰამეტს სძლია. ინგლისელი ჯონათან სპილმენი ამ დღეს თავისუფალი იყო. X ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: სმისლოვი-ერნსტი — 1:0, ზაპატა-ჩერნინი — 1:0, ალბურტი-მარიანოვიჩი — 0,5-0,5, ქსუპოპოვიჩი — 0,5:0,5. როდრიგეს-პრასადის პარტია გადაიდო. გადაიდო, აგრეთვე, მარიანოვიჩ-ქსუს IX ტურის შეხვედრა. ამ ტურში პრასადმა დაამარცხა ალბურტი.

XI ტურში ერნსტი დამარცხდა სპილმენთან. დაზავდნენ შორტი-ზაპატა, ჩერნინი-ტალი. საქსი-სმისლოვის პარტია გადაიდო.

ამრიგად, 11 ტურის შემდეგ სპილმენსა და შორტს 7,5-7,5 ქულა აქვთ 10-10 შეხვედრიდან. ამდენივე პარტია ითამაშეს ტალმა და რიბლიმ, მაგრამ მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს.

ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ



ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, ძიუდოში თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ჩატარების ვადებმა, წელს პირველად რამდენიმე თვით გადაიწია. ახლა შეჯიბრება ჩატარდება 22-26 ივლისს. ფიქრობენ, რომ წლევანდელი ტურნირის მონაწილე ქვეყნების რაოდენობა სარეკორდო იქნება, მოელიან ბევრ საპატიო სტუმარს.

როგორ ვემზადებით ამ უაღრესად ავტორიტეტული ასპარეზობისთვის? გუშინ გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს ტურნირისათვის მზადებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხი.

სხდომის შედეგები შეაჯამა ტურნირის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. ვარძელაშვილმა.

ᲩᲔᲚᲔᲯᲐᲜᲯᲘ - ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

● **კიევი.** სსრ კავშირის თასი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის კიევის დინამოელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში ცსკა დაამარცხეს — 68:61. მანამდე „დინამომ“ მოსკოვის ოლქის „სპარტაკს“ აჯობა — 71:60

აქვე, უკრაინის დედაქალაქში, პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა ამერიკის კალათბურთელთა კლუბმა „ატლეტს-ინ-ეკშნმა“. სტუმრებს შეხვდა უკრაინის სამი კლუბისგან („სტროიტელი“, ასკ და დონეცკის „შახტიორი“) შემდგარი გუნდი. გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 97:80 (44:29).

● **მოსკოვი.** ბეისბოლისტთა მესამე საერთაშორისო ტურნირში **გამარჯვება** მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტებმა მოიპოვეს. ფინალში მათ ტაშკენტის გუნდი დაამარცხეს — 14:13 და ჟურნალ „სელსკაია მოლოდიოჟის“ პრიზი მოიპოვეს. მესამე ადგილი ხვდა უკრაინის ნაკრებს, რომელმაც მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბეისბოლისტებს აჯობა — 9:7.

● **არხანგელსკი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, ოქროს მედლები ძალოსნობაში მოიპოვეს (წონითი კატეგორიების მიხედვით): ალექსი კოლოკოლცევმა (კემეროვო) — 235 კგ, ჰაზიფ სულეიმანოვმა (ბაქო) — 280 კგ, სერიკ სარქისიანმა (ერევანი) — 307,5 კგ, ვლადიმერ გრაჩოვმა (კალინინი) — 330 კგ, ივანე ვოინმა (მოსკოვი)— 357,5 კგ, სერგეი ლიმ (ფრუნზე)— 387,5 კგ, სერგეი ჩერნეტკომ (კიევი) — 395 კგ, პაველ კუზნეცოვმა (ვლადიმირი) — 435 კგ, რეზვან ელიასანოვმა (ტაგანროგი) — 427,5 და ლეონიდ ტარანენკომ (მინსკი) — 472,5. სულ შეჯიბრებაში გაუმჯობესდა რვა მსოფლიო რეკორდი (ოთხი — იუნიორებში და ამდენივე — მოზრდილებში).

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ

თბილისელმა წყალბურთელმა გოგონებმა პირველი ადგილი დაიკავეს ვოლგადონსკში გამართული საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილ ოთხი ქალაქის ტურნირში. გარდა მასპინძლებისა და თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლის გუნდისა (მწვრთნელი მ. კაპანაძე), ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ხარკოვისა და ზლატაუსის გოგონათა კოლექტივები. მეორე ადგილი მასპინძლებს ხვდათ წილად, მესამე იყო ზლატაუსის გუნდი. სულ მალე სწორედ ზლატაუსში გაიმართება პროფკავშირების საკავშირო პირველობა, სადაც თბილისელთა ზემოხსენებული გუნდიც ისპარეზებს.

ვოლგადონსკის ტურნირში საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი გადაეცა მედეა ჯაბადარს.

მაია ვალაშვილი.



ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ჩვენმა მკითხველებმა იციან, თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდი 3-5 ივლისს მონაწილეობდა ლენინგრადში ე. წ. ოთხთა გადასასვლელ მატჩ-ტურნირში. უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ეძლეოდათ პირველ და მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს.

ქართველმა ხელბურთელებმა ამ ტურნირში სამი ქულის აღება შეძლეს და კვლავ შეინარჩუნეს ადგილი უმაღლეს ლიგაში. ბურევესტნიკელებმა წააგეს პირველი მატჩი ლენინგრადის „ნევასთან“, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში ლვოვის ასკ-სთან გაიმარჯვეს, ბოლო თამაში კი მოსკოვის „კუნცევოსთან“ ფრედ დაამთავრეს.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲯᲐᲛᲘ ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ტულ ღირსებას, ზრდიდნენ საიმედო ცვლას.

მარტო ის რად ღირს, რომ ქართული საბჭოთა სპორტის ერთ-ერთი პირველი ვარსკვლავი გიორგი ნიკოლაძე, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა აქ, დიდ ყურადღებას აქცევდა სპორტს. ყველაფერი ეს ბევრს ავალებს ჩვენი რაიონის ფიზკულტურელებს.

ჩავარდნა არ ეპატიება ზესტაფონს, რესპუბლიკის ერთ-ერთ დიდ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონს, რომლის ეკონომიკური პოტენციალი კარგადაა ცნობილი, ადრე დაშვებული შეცდომების შედეგს ვხედავთ და გვინდა გამოვასწოროთ. ყველამ კარგად იცის ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური, ეკონომიკური, აღმზრდელობითი ფუნქცია, ვცდილობთ მისი შედეგები, რაც შეიძლება თვალსაჩინო იყოს. ერთი სიტყვით, იმ რუკის გაცნობამ დაგვაფიქრა. გადავწყვიტეთ ჩავკვირვებოდით საკუთარ საქმიანობას, მსხვილი პლანით დაგვენახა ნაკლოვანებანი, რაც რაიკომის მუშაობაში და იმ მუშაკთა საქმიანობაში შეიმჩნევა, რომელთაც რაიონის გაძღოლა ევალებათ. მიზნად დავსახეთ საგანგებო, გადამჭრელი ღონისძიებების გატარება. შევიკრიბეთ რაიკომის, აღმასკომის, კომკავშირის, სპორტის დიდ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და კიდევ ერთხელ დავაზუსტეთ რა უნდა გაგვეკეთებინა. მასობრივი სპორტი წარმოუდგენელია სპორტული ბაზების ფართო ქსელის გარეშე. დიახ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ფიზკულტურისა და სპორტის საფუძველთა საფუძველია. პირველ რიგში სწორედ ამაზე ვიზრუნეთ.

კაპიტალდაბანდებათა ცენტრალიზება იოლი საქმე არ გახლავთ. ამიტომ გადავწყვიტეთ გვემოქმედა დევიზით:„ შესაძლებლობა პლუს ენთუზიაზმი!“ თანდათან გამოიკვეთა პერსპექტივა. შეეიმუშავეთ 1986-1988 წლების სამუშაო გეგმა-გრაფიკიც, რომელიც ითვალისწინებს მარტივი ტიპის სპორტული მოედნების და დიდი სპორტული კომპლექსების მშენებლობას. დავაზუსტეთ რა შეიძლებოდა დაგვევალებინა ცალკეული უწყებისა და ორგანიზაციებისთვის, რას შეიძლებოდა ისინი ერთად შეჭიდებოდნენ. დავსახეთ სპორტული ნაგებობების, ტურისტული ბაზების, გამაჯანსაღებელი ცენტრების მშენებლობის პერსპექტივები. სპორტული მოძრაობის გაშლის საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას. ამიტომ ისიც დავსაქმეთ. ერთი სიტყვით, ვეცადეთ გამოგვევლინა ფარული რეზერვები, რაც ჩვენდა გასახარად საკმარისად აღმოგვაჩნდა. შემდეგ პარტიის რაიკომის პლენუმზე განვიხილეთ საკითხი „ადამიანი და სოციალური გარემო“.

ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია დაწვრილებით გაგაცნოთ იმ პირველი საუბრის მთელი შინაარსი, ის ამოცანები, რაც ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელებმა დაისახეს გადასაწყვეტად. დევიზი: „გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება“ ზუსტად მოერგო იმ საქმიანობას, რასაც რაიონი ახალი წლის დამდეგიდან შეუდგა.

ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ, ანუ შეკითხვა პირველი შედეგების შესახებ.

ჯ. გორგოძე: „ის რეზერვები, რაზეც ამას წინათ გელაპარაკეთ, სწრაფად ავამოქმედეთ. ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა შეძლო უმოკლეს ვადაში აეშენებინა სამი შესანიშნავი მარტივი ტიპის სპორტული ბაზა. „საქკაბელის“ კოლექტივი წილობრივ საწყისებზე შეუდგა ბაზების მშენებლობას ქარხნის ტერიტორიაზე და ქალაქში. ლიმონათის ქარხნისა და ავტოგაერთიანება „ვაზის“ კოლექტივებმა საერთო ძალებით მოაწყვეს მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, აქტიურად ჩაება საქმიანობაში აგროსამრეწველო გაერთიანებაც. თითქმის ყველა კოლმეურნეობაში დაიწყეს მარტივი ტიპის მოედნებისა და სტანდარტული ფეხბურთის მოედნების მოწყობა, არგვეთაში, სადაც ერთ-ერთი წამყვანი საბჭოთა მეურნეობაა, სადაც 100-ზე მეტი კომლი ცხოვრობს და ელემენტარული პირობები არ იყო სპორტული მოძრაობის გასაშლელად. მწყობრში ჩადგა სპორტული კომპლექსი, ფეხბურთის სტანდარტული მოედანი. ასე რომ, ჩვენ ახლა შეგვიძლია არგვეთელებს მეტი მოვთხოვოთ. დიახ, მათ, ვინც ბაზების უქონლობას უჩიოდა და ამის გამო თითქმის არაფერს აკეთებდა, ახლა ინერტულობას ვეღარ ვაპატიებთ.

გვახარებს ის, რომ შეგძელით კვალითის დასახლების ბაზებით უზრუნველყოფა. დღეს მშრომელების განკარგულებაში 4 შესანიშნავად მოწყობილი მარტივი ტიპის სპორტული მოედანია, გარდა ამისა, თავიანთი ბაზები აქვთ პროფტექნიკური სასწავლებელს და საშუალო სკოლას, ყვირილას პირას შენდება სტანდარტული ფეხბურთის მოედანი.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მოედნების მშენებლობა სოფლადაც. გვინდა ყველა უბანს, ყველა ბრიგადას ჰქონდეს ვარჯიშის პირობები.

მარტივი ბაზების მშენებლობა მალე უნდა დამთავრდეს, მაგრამ რეზერვების ძიება არ შეგვწყვეტია. შავი მეტალურგიის სამინისტროს ხელმძღვანელებს სპორტული კომპლექსის აგება ვთხოვეთ, პროექტისთვის საჭირო თანხა უკვე გამოიყო, მშენებლობა კი მომავალ წელს დაიწყება და ვფიქრობთ, 1989 წელს დამთავრდება. ეს იქნება თანამედროვე კომპლექსი, რომელშიც სპორტის სხვადასხვა სახეობის მოყვარულებს შეეძლებათ ვარჯიში და ასპარეზობა“.

სამწუხაროდ, ამ ორი საუბრის შესახებ თავის დროზე ვერ მოვუთხრე ჩვენი გაზეთის მკითხველს, რადგან მალე დასავლეთ საქართველოს ამ რაიონს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება. წყალდიდობამ შეაფერხა საწარმოთა მუშაობა, ყინვამ დააზრო ბაღ-ვენახები. ვიფიქრე, ვის სცალია-მეთქი ახლა სპორტული ბაზებისათვის, მაგრამ...

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ზესფატონში, ანუ ბაზა, რომელიც უფრო მალე აშენდა, ვიდრე ჟურნალისტმა მასზე წერილის დაწერა მოასწრო.

საბედნიეროდ, უსაფუძვლო გამოდგა ჩვენი შიში, ბუნების ჭირვეულობამ ვერ შეაფერხა ზესტაფონის სპორტული ბაზების მშენებლობის ტემპი. ბევრი ობიექტი არათუ დაგვიანებით, არამედ ვადაზე ადრეც კი ჩადგა მწყობრში, კეთილაძის ქუჩის კუთხეში გაზაფხულის პირზე ქვა-ღორღის ზვინი იდგა და მომავალი სპორტული ობიექტის კონტურები ის-ის იყო იკვეთებოდა. მაშინ კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კიკნაძემ თქვა: აქ აშენდება ექსპერიმენტული ობიექტი — საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე მთის ფერდობზე კოოპერატიული გარაჟები და სპორტული მოედანი მოეწყობაო. თითქოს შეუძლებელი იყო მშენებლობის ორ თვეში დამთავრება, მაგრამ ზესტაფონში მესამედ ჩასულს უკვე გახსნილი დამხვდა ეს მშვენიერი, გემოვნებით გაფორმებული, კოხტა სპორტული მოედანი. იგი არა მარტო ბავშვების, არამედ მოზრდილების თავშეყრის საყვარელ ადგილად ქცეულა.

ორთვიურის პერიოდში კეთილმოუწყვიათ ქალაქის ცენტრში, მის გარეუბნებში და რაიონის სოფლებში მდებარე მოედნები. მალე შესანიშნავი სავარჯიშო და დასასვენებელი ბაზა ექნება „მეტალურგს“, საკუთარ ბაზას მიიღებენ „სპეცმეტალურგმშენის“ ფეხბურთელები, რომლებიც წელს პირველად გამოდიან რესპუბლიკის ჩემპიონატის მეორე ლიგაში. თითქმის ყველა საწარმოს კოლექტივს თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში. ის, რაც წელს ზესტაფონის რაიონში გაკეთდა და კეთდება (სპორტული მოედნების შენება-კეთილმოწყობას ვგულისხმობთ), უპრეცედენტო შემთხვევაა. „ფორმაშია“ ვის, რას შეიძლებოდა ისინი ერთად შეჭიდებოდნენ. დავსახეთ სპორტული ნაგებობების, ტურისტული ბაზების, გამაჯანსაღებელი ცენტრების მშენებლობის პერსპექტივები. სპორტული მოძრაობის გაშლის საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას. ამიტომ ისიც დავსაქმეთ. ერთი სიტყვით, ვეცადეთ გამოგვევლინა ფარული რეზერვები, რაც ჩვენდა გასახარად საკმარისად აღმოგვაჩნდა. შემდეგ პარტიის რაიკომის პლენუმზე განვიხილეთ საკითხი „ადამიანი და სოციალური გარემო“.





კუიბიშევის ქუჩა. კომკავშირის 33-ე ყრილობის სახელობის მოედანი (მარცხნივ) გაშენებულია 45 დღეში; კვალითის დასახლება. კომბინირებული მოედანი.





ჩოგბურთის კორტი კულტურისა და დასვენების პარკში (გაშენებულია 10 დღეში); ფეროშენადნობთა ქარხნის საცურაო აუზი.

ᲑᲐ. ეს იქნება თანამედროვე კომპლექსი, რომელშიც სპორტის სხვადასხვა სახეობის მოყვარულებს შეეძლებათ ვარჯიში და ასპარეზობა“.

სამწუხაროდ, ამ ორი საუბრის შესახებ თავის დროზე ვერ მოვუთხრე ჩვენი გაზეთის მკითხველს, რადგან მალე დასავლეთ საქართველოს ამ რაიონს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება. წყალდიდობამ შეაფერხა საწარმოთა მუშაობა, ყინვამ დააზრო ბაღ-ვენახები. ვიფიქრე, ვის სცალია-მეთქი ახლა სპორტული ბაზებისათვის, მაგრამ...

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ზესფატონში, ანუ ბაზა, რომელიც უფრო მალე აშენდა, ვიდრე ჟურნალისტმა მასზე წერილის დაწერა მოასწრო.

საბედნიეროდ, უსაფუძვლო გამოდგა ჩვენი შიში, ბუნების ჭირვეულობამ ვერ შეაფერხა ზესტაფონის სპორტული ბაზების მშენებლობის ტემპი. ბევრი ობიექტი არათუ დაგვიანებით, არამედ ვადაზე ადრეც კი ჩადგა მწყობრში, კეთილაძის ქუჩის კუთხეში გაზაფხულის პირზე ქვა-ღორღის ზვინი იდგა და მომავალი სპორტული ობიექტის კონტურები ის-ის იყო იკვეთებოდა. მაშინ კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კიკნაძემ თქვა: აქ აშენდება ექსპერიმენტული ობიექტი — საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე მთის ფერდობზე კოოპერატიული გარაჟები და სპორტული მოედანი მოეწყობაო. თითქოს შეუძლებელი იყო მშენებლობის ორ თვეში დამთავრება, მაგრამ ზესტაფონში მესამედ ჩასულს უკვე გახსნილი დამხვდა ეს მშვენიერი, გემოვნებით გაფორმებული, კოხტა სპორტული მოედანი. იგი არა მარტო ბავშვების, არამედ მოზრდილების თავშეყრის საყვარელ ადგილად ქცეულა.

ორთვიურის პერიოდში კეთილმოუწყვიათ ქალაქის ცენტრში, მის გარეუბნებში და რაიონის სოფლებში მდებარე მოედნები. მალე შესანიშნავი სავარჯიშო და დასასვენებელი ბაზა ექნება „მეტალურგს“, საკუთარ ბაზას მიიღებენ „სპეცმეტალურგმშენის“ ფეხბურთელები, რომლებიც წელს პირველად გამოდიან რესპუბლიკის ჩემპიონატის მეორე ლიგაში. თითქმის ყველა საწარმოს კოლექტივს თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში. ის, რაც წელს ზესტაფონის რაიონში გაკეთდა და კეთდება (სპორტული მოედნების შენება-კეთილმოწყობას ვგულისხმობთ), უპრეცედენტო შემთხვევაა. „ფორმაშია“ სტადიონი „მეტალურგი“, დახურული საცურაო აუზი, ქალაქის პარკის ჩოგბურთის კორტები, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობაა. რაიონის თითქმის ყველა კუთხეში შენდება სპორტული ობიექტები. ერთი სიტყვით, ამ მხრივ ზესტაფონის რაიონი ერთ-ერთი უმდიდრესი იქნება რესპუბლიკაში.

...პირველი მდივნის სამუშაო მაგიდაზე კვლავ „ლელოს“ ნომერს მოვკარი თვალი. წითელი ფანქრით ხაზგასმული იყო ჭაბუკთა მეორე რესპუბლიკურ თამაშებზე ზესტაფონის გუნდის არც თუ სახარბიელო მაჩვენებელი, ამიტომ საუბარი კვლავაც სპორტზე ჩამოვარდა.

ჯ. გორგოძე: „სპორტული ბაზების რიცხვის გაზრდა თვითმიზანი როდია. ეს ბაზები ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ და სპორტსმენთა ახალი თაობის აღზრდაზე ვიზრუნოთ.

რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს სპორტის მუშაკთა, მწვრთნელთა მუშაობა. დროული ღონისძიება იყო პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა ერთ ორგანიზაციაში გაერთიანება. სპორტული მოძრაობის ფართოდ გაშლას ხელს უშლიდა უწყებრივი დაქსაქსულობა, ახლა კი, როცა ყველაფერი ერთ სისტემაში გაერთიანდა, მიზანდასახული და, რაც მთავარია, ქმედითი გახდება მისი მუშაობა. ეს საშური საქმეა, რადგან ჯერჯერობით თვალსაჩინო წარმატებები სპორტის არც ერთ სახეობაში არა გვაქვს. პირველ ყოვლისა, საჭიროა ყურადღება მიექცეს ბავშვთა და მოზარდთა სპორტს. დიახ, ბავშვთა სპორტში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა გვაქვს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ გვყავანან ენთუზიასტი მწვრთნელები, რომლებიც უანგაროდ, ენერგიულად მუშაობენ. ასეთ მუშაკებს უნდა დავეხმაროთ. მეტი უნდა მოვთხოვოთ პედაგოგ-ორგანიზატორებს, სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლებს. ისინი ხშირად ბაზების უქონლობას უჩივიან, ეს იმ დროს, როცა ბევრი საშუალო სკოლის დარბაზი შუადღის შემდეგ გამოკეტილია. საცხოვრებელ ადგილებში გვინდა შევქმნათ ბავშვთა სპორტული კლუბები“.

— რას გვეტყვით ფეხბურთზე, რომელიც ასე უყვართ თქვენს რაიონში?

— შეცდომებს ვერც ფეხბურთში გადავურჩით. მცდარად გაგებულმა პრესტიჟულობამ და ვაიმეცენატების გულმოდგინებამ მძიმე დღეში ჩააგდო ქართული ფეხბურთი. გასტროლიორებით დაკომპლექტებულმა გუნდებმა ვერაფერი არგეს რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარების საქმეს, არადა, საქართველოს პირველობები სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს. ჩვენი მხრიდან გადავწყვიტეთ გადამჭრელი ღონისძიებებისთვის მიგვემართა. უარი ვთქვით მოხეტიალე ფეხბურთელებსა და მწვრთნელებზე. „მეტალურგი“ ძირითადად რაიონის მკვიდრი სპორტსმენებით დავაკომპლექტეთ და უფროს მწვრთნელად ამ გუნდის ყოფილი მოთამაშე დავნიშნეთ. ვფიქრობთ, 2-3 წელიწადში გუნდი თავის სახეს მიიღებს და პოზიციას განიმტკიცებს. სხვათა შორის, ფეხბურთი რაიონში უფრო მასობრივი გახდა, ბიჭებს სჯერათ, რომ თუ კარგად ითამაშებენ, მშობლიური რაიონის გუნდში მოხვდებიან, მერე კი „დინამოს“ მაისურზეც შეეძლებათ ოცნება.

სამწუხაროდ, რესპუბლიკურ პირველობას ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი აქვს. ფეხბურთის სამმართველოს პრინციპული მუშაობა მართებს იმისათვის, რომ ავტორიტეტი აღიდგინოს. მეტი მოეთხოვებათ მსაჯებსაც. არასწორად მიგვაჩნია მსაჯების დანიშვნის დღევანდელი პრაქტიკა. ვფიქრობთ, იგი კენჭისყრით უნდა ხდებოდეს.

რესპუბლიკური ჩემპიონატის ყოველი მატჩი რაიონებში სპორტის ნამდვილ ზეიმად უნდა იქცეს, მატჩების დროს უნდა გაიმართოს მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, გულშემატკივართა კონკურსები და ასე შემდეგ. ამით თუ დავუბრუნებთ მას პრესტიჟს.

— რა კეთდება რაიონში სპორტის ეროვნული სახეობების ასაღორძინებლად?

— სწორედ ამ სახეობების აღორძინებით შევძლებთ სპორტში მოსახლეობის ფართო ფენების მოზიდვას. აგროსამრეწველო კომბინატის ხელმძღვანელებს ვთხოვეთ საცხენოსნო სპორტის ეროვნული და კლასიკური სახეობების აღორძინებაში დაგვეხმარონ, 50-60-ის სახეობები, რომლებიც პოპულარობით სარგებლობენ ჩვენს რაიონში. ზესტაფონელებს უყვართ ჭიდაობა, ქართულიც, თავისუფალიც, ძიუდოც და ა. შ. ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ ლეგენდარული მიშიკო მაჩაბელი ჩვენებურია, აქვე დავაარსებდა დავით ციმაკურიძე. მომავალ წელს ფალავანთა კლუბს გავხსნით და, ალბათ, დაკარგულ ტრადიციებს აღვადგენთ. პოზიციები დავთმეთ ფარიკაობაშიც. სიმონ საყვარელიძის დაწყებულ საშვილიშვილო საქმეს ღირსეული გამგრძელებელი არ გამოუჩნდა. დიდი ყურადღება დაეთმობა ჭადრაკს, ჩოგბურთს, რეგბის. ამ სახეობებში გვყავს ენთუზიასტები, საქმის მცოდნენი.

ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში ზესტაფონი არა მარტო ბაზების სიმრავლით მოიწონებს თავს, არამედ სპორტში მოპოვებული წარმატებებითაც ასახელებს რესპუბლიკას.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ,
(„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ-ᲘᲕᲚᲘᲡᲘ.

ზესტაფონი.

• • •

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐ�გᲐᲜ: წერილის გამოქვეყნება იმანაც დაგვიგვიანა, რომ ზესტაფონის რაიონში კიდევ რამდენიმე ახალი ობიექტი შენდებოდა და გვსურდა მათი დასრულება გვეხარებინა თქვენთვის, მაგრამ როცა ამ ობიექტების დამთავრებას აღარაფერი აკლდა, იქვე კი ახალი ბაზების მშენებლობა წამოიწყეს, მივხვდით, რომ თუ ყველა ობიექტის დამთავრებას დაველოდებოდით, წერილს დაბეჭდვა არ ეღირსებოდა. დიახ, ზესტაფონის რაიონში სპორტული ობიექტების მშენებლობა არ წყდება, იგი მიმდინარეობს გონივრულად შედგენილი გრაფიკით...

ამ წერილში, ყველა საკითხს, რაც პირველ მდივანთან საუბარში წამოიჭრა, ვერ შევეხეთ. ბევრი სათქმელი მომავლისთვის დავიტოვეთ. ამჯერად მხოლოდ ის გვინდა გითხრათ, რომ რესპუბლიკის სპორტულ რუკაზე კიდევ ერთი კაკაშა ვარსკვლავი ინთება. დამშვიდობებისას ჯ. გორგოძემ გვითხრა, თუ ადრე ამბობდნენ „თეატრალური ზესტაფონი“, ახლა მას ერთი ეპითეტიც მიემატა, ზესტაფონი სპორტული გახდებაო.

გვჯერა, რომ ასე იქნება.

• • •

P.S. და აი, უკანასკნელი ცნობაც. ზესტაფონში ამ დღეებში ჩამოყალიბდა მთელს რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი სპორტული კოოპერატივი. ასე რომ, სპორტულ ბაზებს დაინტერესებული, სპორტის სიყვარულით გულანთებული პატრონებიც გამოუჩნდნენ.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ თავის ამასწინანდელ სხდომაზე განიხილა ოსტატთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებებში დისციპლინის მდგომარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის ოსტატთა კოლექტივებში საგრძნობლად შენელდა აღმზრდელობითი მუშაობა, დაქვეითდა მოთხოვნები დისციპლინის დამრღვევ ფეხბურთელთა მიმართ, რის შედეგადაც მკვეთრად მოიმატა უხეშობამ, ხშირია სერიოზული დარღვევები. აგრეთვე ითქვა, რომ უმაღლესი ლიგის შეჯიბრებებში წლეულს 4 ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს და 135 გააფრთხილეს, შარშან კი ასეთი დარღვევების რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო. ფეხბურთელები დემონსტრაციულად გამოხატავენ უკმაყოფილებას მსაჯთა გადაწყვეტილების მიმართ, უხეშად თამაშობენ, არ იცავენ სტანდარტულ მდგომარეობათა გათამაშებისთვის დადგენილ ნორმებს და ა. შ.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მსაჯთა საკავშირო კოლეგიას დაავალა მკაცრად მოკითხოს წესრიგის დამრღვევ ფეხბურთელებს, აამაღლოს საერთო მომთხოვნელობა, გადაჭრით აღკვეთოს უხეშობა, ცალკეულ მოთამაშეთა უღირსი გამოხდომები.

მსაჯებს ამიერიდან უფლება აქვთ წინასწარი გაფრთხილების გარეშე, დაუყოვნებლივ გააძევონ მინდვრიდან ფეხბურთელები, რომლებიც წინასწარი განზრახვით დარღვევენ წესს, უხეშად ითამაშებენ, ან უღირსად მოიქცევიან.

ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას მითითება მიეცა წესრიგის დამრღვევ ფეხბურთელთა საკითხის განხილვისას სრული პრინციპულობით და მომთხოვნელობით მიუდგეს საქმეს და უმკაცრეს სანქციებს მიმართოს. სპორტულ-ტექნიკური კომისიის წევრებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ გუნდების საერთო კრებებში, გამსვლელი სხდომები გამართონ კოლექტივებში. ფედერაციის პრეზიდიუმმა ისიც აღნიშნა, რომ სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილებანი ხშირ შემთხვევაში ლიბერალურია და ხელს არ უწყობს ჩვენს ფეხბურთში საჭირო წესრიგის დამყარებას.

საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებს დაევალათ ქმედითი მუშაობა წარმართონ ფეხბურთელთა მიერ წესრიგის დარღვევების აღმოსაფხვრელად.

დიდხანს დაამახსოვრდებათ

ეს მართლაც მინი კალათბურთის ულამაზესი და დასამახსოვრებელი ფესტივალი იყო. თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის დარბაზში პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს 1975-76 წლებში დაბადებული ბიჭუნები ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, სამტრედიიდან, ჭიათურიდან, რუსთავიდან, ცხინვალიდან და თბილისიდან. ოღონდ დედაქალაქმა ამჯერად სამი გუნდი გამოიყვანა: „ლოკომოტივი“, „დინამო“ და ექსპერიმენტული სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის კალათბურთის 58-ე საშუალო სკოლის გუნდი „მართვე“.

ამ უკანასკნელმა და „დინამომ“ თავიანთ ჭვეჯგუფებში ყველა შეხვედრა მოიგეს. ფინალში ისინი ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ. ნორჩებმა თამაშის საკმაოდ მაღალი კლასი და დიდი მონდომება გამოამჟღავნეს. იყო სწრაფი შეტევებიცა და პოზიციური ბრძოლაც, ლამაზი, მრავალსვლიანი კომბინაციები და კალათში ზუსტი სროლები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც დიდების კალათბურთისთვისაა დამახასიათებელი, თამაშს ... [illegible] ესწრებოდა „მართვეს“ გუნდმა მოუგო „დინამოს“ ანგარიშით — 45:23. გამარჯვებული კოლექტივის ღირსებას იცავდნენ: ა. ჟღენტი (კაპიტანი), ვ. ნაცვლიშვილი, გ. ხარაძე, ვ. იაშვილი, ი. რატიანი, კ. გრძელიძე, ი. დანელია, ლ. ზიბზიბაძე, ა. კილაძე, მ. იოსელიანი. გუნდის მწვრთნელი გ. ჩინჩალაძე. გახლდათ.

საინტერესოა, რომ გამარჯვებული კოლექტივის ყველა წევრი ერთ კლასში სწავლობს. თანაც ნორჩები აკადემიური მოსწრებითაც გამოირჩევიან და სიბეჯითითაც. ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად სპეციალისტებმა ვ. ნაცვლიშვილი („მართვე“) და ვ. ბეჟანიშვილი („დინამო“) დასახელეს. ფესტივალზე დაწესებული პრიზების მფლობელები კი ა. ჟღენტი (ყველაზე ტექნიკური მოთამაშე) და გ. ხარაძე (ყველაზე პერსპექტიული კალათბურთელი, სიმაღლე — 186 სმ) გახდნენ.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მინი კალათბურთის ფესტივალი რესპუბლიკის სპორტსახკომისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერით კარგად იყო ორგანიზებული და ნორჩ სპორტსმენთათვის დასამახსოვრებელ დღესასწაულად იქცა.

სურათზე: მინი კალათბურთის ფესტივალში გამარჯვებული „მართვეს“ გუნდი და მისი მწვრთნელი გ. ჩინჩალაძე.

საქართველოს პირველობა

4 და 5 ივლისს შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის I ჯგუფის გუნდების XXI ტურის მატჩები:

„კოლხეთი“ (ხობი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:0, „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:2, „ივერია“ (ხაშური) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 6:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:0, „ქართლი“ (გორის რ-ნი)— „სულორი“ (ვანი) 0:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „კახეთი“ (თელავი) 4:4, „მადნეული“ (ბოლნისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:2.

„ტყავის ბურთი“ — ლანჩხუთში

როგორც ვიტყობინებოდით, ლანჩხუთში მიმდინარეობს „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზის გათამაშების რესპუბლიკური ფინალური ტურნირი. შეჯიბრებაში პირველნი ჩაებნენ მოზარდი ასაკის ფეხბურთელთა გუნდები (1972-1973 წლებში დაბადებულნი). 3 ივლისს შედგა ასპარეზობის მეორე ტური, სადაც გეგეჭკორის რაიონმა მოუგო ზნაურის გუნდს — 8:0, ქუთაისელმა ფეხბურთელებმა აჯობეს გაგრელებს — 3:1, შუახევის გუნდმა დაამარცხა ზუგდიდელთა კოლექტივი — 1:0. ყვარელელები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ რუსთაველებთან — 0:11, ხოლო საგარეჯოელმა ჭიათურელმა თანატოლებმა ფრედ (1:1) დაამთავრეს შეხვედრა.

შაბათს, 4 ივლისს, მოზარდი ასაკის ფეხბურთელებმა მესამე ტურის შეხვედრები გამართეს. გაგაცნობთ შედეგებს: რუსთავი — ონი 3:0, თბილისი — ზუგდიდი 7:0, ლანჩხუთი — საგარეჯო 0:0, ქუთაისი — გეგეჭკორი 3:0.

კვირას ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ. გუშინ ასპარეზობა განახლდა მეოთხედფინალური შეხვედრებით, რომლებიც ასე დამთავრდა: ქუთაისი — ონი 5:0, რუსთავი — გეგეჭკორი 6:2, ლანჩხუთი — შუახევი 5:0, საგარეჯო — თბილისი 0:1, ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: რუსთავი — თბილისი, ლანჩხუთი — ქუთაისი.

ეს არ უნდა აწუხებდეს მარადონას

ფეხბურთის სამყაროში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ მარადონა სპორტს თავს ანებებს. მაგრამ ასეთი კატეგორიული განცხადება მას არ გაუკეთებია. გაზეთ „კორერე დელა სერას“ კორესპონდენტთან საუბარში არგენტინელმა ფეხბურთელმა, რომელიც ამჟამად იტალიის „ნაპოლის“ ღირსებას იცავს, თქვა: შესაძლებელია დავტოვო დიდი ფეხბურთი, ოღონდ ორი წლის შემდეგო.

მარადონას განმარტებით მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფეხბურთიდან პლატინის წასვლამ. სწორედ ამან ჩააფიქრა მსოფლიო საუკეთესო ფეხბურთელი: „მთავარია ზუსტად დაიჭირო მომენტი, როცა გუნდს აღარ სჭირდები. ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ ტრიბუნებმა არ დაგისტვინოს“. ამ სიტყვებს ბოლო დროს მარადონა ხშირად იმეორებს.

მაგრამ საქმე მარტო პლატინის წასვლაში როდია. არგენტინელ ფეხბურთელს კარგად ახსოვს მისი სათაყვანებელი კერპის მარიო კემპესის მწარე ხვედრი. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს თავისი მთავარი ტრიუმფის შემდეგ ხშირად უხდებოდა მინდვრიდან თავჩაქინდრული გასვლა. განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი იყო ეს ესპანეთში, ვინაიდან „ვალენსია“ მისგან სასწაულებს ელოდა, საბოლოო ჯამში კი „საუშაო კლასის“ ფეხბურთელი შერჩა ხელში.

ამ მხრივ მარადონა ბრძნულ სიფხიზლეს იჩენს. ორი წელიც სწორედ იმისთვის სჭირდება, უფრო მეტად დაუკვირდეს თავის თავს და ტრიბუნების რეაქციასაც მიუგდოს ყური. მაგრამ მიმომხილველთა აზრით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ეჭვები ნაადრევია. მარადონა ჯერჯერობით ჩამოსაწერ ფეხბურთელად არავის მიაჩნია. პირიქით, მას დღესაც აღტაცებაში მოჰყავს ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივარი.

ფეხბურთი

სუპერფინალი — ოქტომბერში

წელს, ოქტომბერში, თბილისობის ზეიმის სპორტულ პროგრამაში შეტანილია საქართველოს ჩემპიონატის სუპერფინალური მატჩი ლელობურთში. ამ მატჩში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს 4-7 სექტემბერს გეგეჭკორში გამართულ ფინალურ ტურნირში გამარჯვებული ორი საუკეთესო კოლექტივი.

ახლახან გამოვლინდა ის ოთხი გუნდი, რომელიც ამ საპატიო უფლების მოსაპოვებლად იბრძოლებს. როგორც იცით, გორში გამართულ პირველ ზონალურ შეჯიბრებაში ფინალის საგზურები მოიპოვეს ამ შეჯიბრებისა და მომავალი ტურნირის მასპინძლებმა — გორელმა და გეგეჭკორელმა სპორტსმენებმა. ახლახან კი ჩოხატაურში ჩატარდა მეორე ზონალური შეჯიბრება ფინალური ტურნირის კიდევ ორი მონაწილის გამოსავლენად.

ჩოხატაურში ლელობურთს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, ასე რომ, ასპარეზობამ მთელი რაიონი გამოაცოცხლა. მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ შეჯიბრების მონაწილეებს. თამაშებიც ორგანიზებულად და, რაც მთავარია, კორექტულად ჩატარდა. ასპარეზობას მოემსახურა მსაჯთა ჯგუფი — თ. ციცაძე, მ. დოლიძე, ჯ. დიასამიძე და დ. ნინიძე.

შეჯიბრებაში თავი ისახელეს ჩოხატაურისა და მახარაძის გუნდებმა, რომლებმაც აჭარის, ქუთაისისა და ლანჩხუთის კოლექტივებს აჯობეს.

სუპერფინალური მატჩის მონაწილეთა ვინაობის გასარკვევად გეგეჭკორში სწორედ ეს გუნდები— გორელი, ჩოხატაურელი, მახარაძელი და გეგეჭკორელი ლელობურთელები იასპარეზებენ.

სპ. კორ.

თბილისის მოსწავლეთა 43-ე სპარტაკიადა

წინსვლა იგრძნობა, მაგრამ...

თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთვისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა 43-ე საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის 26 სახეობა იყო.

ფინალურ შეჯიბრებებს წინ უძღოდა შიდასასკოლო და სარაიონო სპარტაკიადები, რომლებშიც 70 000 მოსწავლე მონაწილეობდა.

სპარტაკიადის 180-მა მონაწილემ I თანრიგის შედეგი უჩვენა, რაც წინა სპარტაკიადაზე ნაჩვენებს ათით სჯარბობს. II თანრიგის ნორმატივი 380-ჯერ შესრულდა, რაც წინა სპარტაკიადის მაჩვენებელს ოცით აღემატება, III თანრიგის შედეგი კი 910-ჯერ აღინიშნა, რაც ძველ მაჩვენებელს 400-ით აჭარბებს.

წინსვლა საგრძნობია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს მაინც წვეთია ზღვაში. ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი, არაფერს ვამბობთ ოსტატის შედეგზე.

სხვებთან შედარებით უკეთესად იასპარეზეს მოშაშე ნ. შალამბერიძემ (ოქტომბრის რაიონი), მოფარიკაკეებმა ნ. ასათიანმა (საბურთალოს რ-ნი), გ. შენგელიამ (ორჯონიკიძის რ-ნი), სამბისტებმა ბ. ოდიშვილმა (ლენინის რ-ნი), მ. მელაძემ (პირველი მაისის რ-ნი), რ. ლაფერაშვილმა - (ოქტომბრის რ-ნი), კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა ნ. პაატაშვილმა (საქარხნო რ-ნი), გ. ჭადაშვილმა (პირველი მაისის რ-ნი), მ. შუშიაშვილმა (გლდანის რ-ნი) და სხვებმა.

შეჯიბრების დებულების თანახმად, სპარტაკიადის საერთო გუნდური ჩათვლის პროგრამაში შედიოდა 6 სავალდებულო (მძლეოსნობა, ცურვა, სპორტული ტანვარჯიში, მშთ მრავალჭიდი, „იმედის სტარტები“ და პიონერული ოთხჭიდი) და 8 არჩეული სახეობა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა 26 კომისრის სახელობის რაიონის ნაკრები (131 ქულა), მეორე იყო პირველი მაისის რაიონის გუნდი (110 ქულა), III ადგილზე ლენინის სახელობის რაიონის მოსწავლეთა ნაკრები გავიდა (107 ქულა).

26 კომისრის რაიონის წარმომადგენლებმა I ადგილები დაიკავეს მძლეოსნობაში, „იმედის სტარტებში“, მშთ-ს მრავალჭიდში, პიონერულ ოთხჭიდში, ფეხბურთში, ბადმინტონში და კრივში.

1 მაისის რაიონის სპორტსმენებმა მოცურავეთა, ველოსიპედისტთა, კლასიკური სტილის მოჭიდავეთა და სამბისტთა შეჯიბრებებში გაიმარჯვეს.

ჭადრაკში უძლიერესი იყო ლენინის სახელობის რაიონის მოსწავლეთა ნაკრები.

ცალკეულ სახეობებში გაიმარჯვეს: ოქტომბრის რაიონის (შაშში), კალინინის რაიონის (კალათბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მხატვრულ ტანვარჯიშში), საქარხნო რაიონის (ფრენბურთში), გლდანის რაიონის (სპორტულ ტანვარჯიშში, ხელბურთში და თავისუფალ ჭიდაობაში), საბურთალოს რაიონის (ძიუდოში, ფარიკაობაში და ტყვიის სროლაში) გუნდებმა.

კარლო ჩხაიძე,
თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების გამგე.

ოდლებათა მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

კალათბურთში — თამარ ბუიღლიშვილს, ოლგა კორკოტაძეს, მარინა ნოვიკოვას, ნინო სირაძეს, ნინო კურტანიძეს (ყველა — „ბურევესტნიკი“, თბილისი), დავით ტალაბაძეს, გიორგი სანაძეს, ალექსანდრე ფერიაშვილს, დავით გიორგობიანს (ყველა—„დინამო“, თბილისი).

ბადმინტონში — მალხაზ მჟავიას („ბურევესტნიკი“, ბათუმი), ალა არშუკოვას („ბურევესტნიკი“, თბილისი).

ფარიკაობაში — არჩილ ლორთქიფანიძეს, გურამ იოსებიძეს (ორივე—„ბურევესტნიკი“, თბილისი), მაკა ბრეგაძეს, ნუგზარ ასათიანს (ორივე—არმიის სპორტული კლუბი, თბილისი).

კრივში — ლეონ მარქარიანს, ივან აბრამიანს (ორივე—არმიის სპორტული კლუბი, თბილისი), კახაბერ შალამბერიძეს („ბურევესტნიკი“, თბილისი), თეიმურაზ ბოკუჩავას, ასლან აკრბას, ზურაბ სოსელიას (სამივე — „განთიადი“, სოხუმი), ნაურ სმირს („სპარტაკი“, სოხუმი), თენგიზ მესხიძეს („ლოკომოტივი“, ქუთაისი), აშოტ აკოპიანს („კოლმეურნე“, ახალციხე), გიორგი ბარბაქაძეს („შრომითი რეზერვები“, რუსთავი), ვასილი გაბარაევს, გიორგი გაბუევს, სოსლან კუძიევს (სამივე—„განთიადი“, ცხინვალი), დავით გულაშვილს („განთიადი“, თბილისი), ფიოდორ კესაბოვს, ზაზა გაბაძეს, ედუარდ შოგის (სამივე—„შრომითი რეზერვები“, თბილისი), ალექსეი მაზუროვს („ვოდნიკი“, ფოთი).

ტყვიის სროლაში — გიორგი ჭანტურიძეს, მამუკა ბოსტოღანაშვილს (ორივე—„დინამო“, თბილისი), თამილა თუთაძეს („დინამო“, თბილისი).

უიმბლდონის ტურნირზე

ორკვირიანი მარათონის ფინიშში

შაბათი და კვირა უიმბლდონში, ტრადიციულად, ფინალური შეხვედრების დღედ ითვლება, ოღონდ ურთიერთობას ჯერ ქალთა ტურნირის მონაწილენი არკვევენ, შეჯიბრება კი ვაჟთა ფინალური მატჩით მთავრდება.

ქალთა შორის პირველი ადგილი 30 წლის მარტინა ნავრატილოვამ (აშშ) მოიპოვა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან 18 წლის შტეფი გრაფს (გფრ) აჯობა — 7:5, 6:3. ნავრატილოვა ამ პოპულარული ტურნირის ჩემპიონი მერვედ გახდა.

ვაჟთა ერთეულების ფინალიც ერთობ პრინციპულ ხასიათს ატარებდა. სპეციალისტები უპირატესობას მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელს ჩეხოსლოვაკიელ ივან ლენდლს ანიჭებდნენ, მაგრამ მათი პროგნოზი არ გამართლდა. გამარჯვება და მასთან უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონის სახელი პირველად 22 წლის ავსტრალიელმა პატრიკ კეშმა მოიპოვა—7:6, 6:2, 7:5 (ავსტრალიელთაგან ამ ტიტულს უკანასკნელად, 16 წლის წინ, ჯონ ნიუკომბი ფლობდა).

ქალთა წყვილებში პირველი პრიზი ჰელენა სუკოვამ (ჩეხოსლოვაკია) და კიდე-კილმა (გფრ) დაისაკუთრეს, ვაჟთა წყვილებში — გენ ფლეჩმა და რობერტ სეგუსომ (ორივე — აშშ), შერეულ წყვილთა შორის კი უძლიერესი ინგლისელთა დუეტი ჯერემი ბეიტსი და ჯო დორი იყო.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა ჩოგბურთელები უიმბლდონში საკმაოდ კარგად გამოვიდნენ. პირველ რიგში ისინი 16 წლის მინსკელ სპორტსმენს ნატალია ზვერევას გამოჰყოფენ, რომელმაც ზედიზედ მეორე წელს გაიმარჯვა იუნიორთა ტურნირში. ამჯერად ფინალში მან ფრანგი ჟიული ალარი დაამარცხა. ზვერევამ კიეველ ნატალია მედვედევასთან ერთად იუნიორთა წყვილთა ტურნირიც მოიგო. გადამწყვეტ შეხვედრაში ხალბჭოთა ჩოგბურთელებმა კორეელებს სუნსა (სამხრეთ კორეა) და პაულეტა მირეზოს (ინგლისი) ჯობეს — 6:2, 5:7, 6:0. საგულისხმო ფაქტია მინსკელი ჩოგბურთელის წარმატებები ამით არ ამოწურულა. სპეციალისტებს მის ყველაზე დიდ გამარჯვებად მოზრდილთა შორის მერვედფინალში თამაში მიაჩნიათ. ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა, რომელიც 16 უძლიერეს ჩოგბურთელს შორის მოხვდა.

საგარეჯო, გიორგიწმინდა... ბეჭდაუდებელი ფალავნის არსენ მეკოკიშვილის მშობლიურ სოფელში შეიკრიბნენ სხვადასხვა თაობის სახელოვანი ქართველი მოჭიდავეები, ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები: დავით ციმაკურიძე და მირიან ცალქალამანიძე, გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე, რომან რურუა და შოთა ლომიძე, ლევან თედიაშვილი და ზარიბეგ ბერიაშვილი, გიორგი სხირტლაძე და გურამ სალარაძე, ანზორ ჭიბროწაშვილი და შოთა ჩოჩიშვილი, თემურ ხუბულური და შოთა ხაბარელი, ვახტანგ ბლაგიძე და თეიმურაზ აფხაზავა, თემურ უაზარაშვილი და დავით გოგეჯიშვილი, სხვები და სხვები. აქვე იყვნენ მათი მწვრთნელ-პედაგოგები, ჭიდაობის ქართული სკოლის პიონერები. ეს იყო სახელდახელო შეკრება-შეხვედრა, რომელიც დიდხანს ემახსოვრებათ სტუმარ-მასპინძლებს. იმ დღეს ბევრი რამ გაიხსენეს სახელოვანმა ფალავნებმა, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილ მეგობართა ხსოვნას. ასეთი შეხვედრები ყოველწლიურად გაიმართება.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მკითხველი — გაზეთი

გთხოვთ გვითხრათ, ითვლება თუ არა გარი კასპაროვი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონად ჭადრაკში? რატომღაც ამის შესახებ ცენტრალურ პრესაში არაფერი გამოქვეყნებულა. გარდა ამისა, გვაინტერესებს, გადაეცა თუ არა მსოფლიო ჩემპიონს ოქროს მედალი და როგორია ჩემპიონისა და პრეტენდენტის ჰონორარი.

ნ. კაკულია.

ზუგდიდი.

გარი კასპაროვი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია. მატჩ-რევანში ანატოლი კარპოვს რომ მოეგო, მაშინ, ცხადია, ის დაიბრუნებდა მსოფლიო ჩემპიონობას, მაგრამ გაიმარჯვა კასპაროვმა და, მაშასადამე, მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. რაღა თქმა უნდა, მას ოქროს მედალიც გადაეცა.

მსოფლიო ჩემპიონისა და პრეტენდენტისთვის ჰონორარი სპეციალურად დაწესებული არ არის. მას თვით მატჩის ორგანიზატორები და დამფინანსებლები აწესებენ.

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.

ჩოსიჩი გადადგა

იუგოსლავიის კალათბურთის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი, ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ნაკრების მწვრთნელის პრობლემაა. მართლაცდა, უკანასკნელ წლებში ნაკრების მწვრთნელები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებიან: 1979 წ. — პ. სკანსი, 1980 წ. — რ. ჟერავიცა, 1981 წ. — ბ. ტანიევიჩი, 1982 წ. — ისევ რ. ჟერავიცა, 1983 წ. — ი. ჯერჯა, 1984 წ. — ვ. ნოვოსელი, 1985-1987 წ.—კ. ჩოსიჩი. პეტარ სკანსიმ საერთო ენა ვერ გამონახა ნაკრების ვეტერანებთან: ზორან სლავნიჩთან, დრაგან კიჩანოვიჩთან, დრაჟენ დალიპაგიჩთან. ბოგდან ტანიევიჩის ცდამ — გარდაექმნა გუნდის თამაში დაცვაში, ასევე არ ჰპოვა სათანადო მხარდაჭერა. იოსებ ჯერჯამ ვეტერანებთან კი გამონახა საერთო ენა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ნაკრების გაახალგაზრდავებაზე უარის თქმა, რასაკვირველია, არ ღირდა.. ახალგაზრდა მწვრთნელებიდან შედარებით უფრო ხანგრძლივად იმუშავა ნაკრებთან კრეშიმირ ჩოსიჩმა.

როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ იუწყება, ამ დღეებში პოსტიდან გადადგა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ჩოსიჩი. იგი აპირებს იტალიაში წავიდეს მწვრთნელად სამუშაოდ. უნივერსიადისათვის იუგოსლავიის ნაკრების მომზადება დუშან ივკოვიჩს დაევალა. ეს საკითხი სულ ახლახან გადაწყდა იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციის მორიგ სხდომაზე.

მერაბ კალანდაძე.

იუმორი

ფრე

ერთხელ უკრაინელ კომპოზიტორს ანდრია შტოგარენკოს ჰკითხეს:

— მოისმინეთ გუშინ ახალგაზრდა კომპოზიტორის ახალი სიმფონია?

— კი.

— საინტერესოა, მსმენელებმა როგორ მიიღეს იგი ან ორკესტრმა როგორ შეასრულა?

— აბა რა გითხრათ? შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

მომლერალი გროსმაისტერი

საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, რიგელი ოსტატი ალექსანდრე კობლენცი მსოფლიო ექსჩემპიონ მიხეილ ტალთან ერთად პორტოროჟში გამართულ საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობდა. ერთ-ერთ დასვენების დღეს გაისეირნეს, კობლენცმა, რომელსაც სასიამოვნო ხმა აქვს, არიები იმღერა რუსულ და იტალიურ ენებზე. მომღერალ მწვრთნელთან ერთი ქალი მივიდა და უთხრა:

— მადლობას მოგახსენებთ ამ სიამოვნებისთვის! თქვენი სიმღერით დიდი არტისტი გამახსენეთ.

— კარუზო? — მოუთმენლად ჰკითხა კობლენცმა.

— არა, ვასილი სმისლოვი.

მთავარია დებიუტი

ჭადრაკში საბჭოთა კავშირის ოცდამეექვსე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გროსმაისტერმა მარკ ტაიმანოვმა, პირველი კლასის პიანისტმა, მეუღლესთან — ცნობილ პიანისტ ლუბა ბრუკთან ერთად თბილისში ორი კონცერტი გამართა. პირველი კონცერტი სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ოპერის თეატრში ჩატარდა, სადაც ჩემპიონატის დროს ტურები ეწყობოდა, მეორე კონცერტი კი რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში, სადაც მოჭადრაკეები გადადებული პარტიების დასამთავრებლად იკრიბებოდნენ.

ერთმა თბილისელმა ჭადრაკის მოყვარულმა კონცერტის ბილეთი ოპერის თეატრში შეიძინა. როდესაც ჰკითხეს, რატომ მეორე კონცერტზეც არ აიღო ბილეთი, მოყვარულმა დინჯად მიუგო: მეორე კონცერტი რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზშია დანიშნული და თანაც მეორე დღეს. მე კი მინდა თამაშის დაწყებას ვუყურო.

თამაში ძნელდება

— გაიგე, მონაკოში ფეხბურთი რომ აუკრძალავთ?

— რატომ?

— თამაში ძნელდება. ბურთი ხან იტალიაში მიფრინავს და ხან საფრანგეთში.

საუკეთესო საშუალება

— ექიმო, ამ ბოლო დროს საგრძნობლად მოვიმატე წონაში, რა მეშველება?

— მეტი უნდა იმოძრაოთ.

— სამსახურში ფეხით დავდივარ, სხვა რა ვქნა.

— ეგ ძალიან მცირე დატვირთვაა. ეცადეთ პიკის საათებში ავტობუსით იმგზავროთ.

წარმატების საწინდარი

— როგორ მოხდა, რომ სირბილში პირველი ადგილი დაიკავე? ვფიქრობდით, როგორც ყოველთვის, ბოლოს მოჩანჩალდებოდი, — უთხრა ჰაინცს ამხანაგმა.

— ასეც იქნებოდა, ჩემი კარგო, გარბენის დროს დასვენება რომ არ გადამეწყვიტა და კრაზანის ბუდეზე არ დავმჯდარიყავი.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

„სპორტლოტო“

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 27-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 2 (ბიატლონი), 6 (ძიუდო), 8 (ტრეკზე ველოსიპედი), 11 (ფრენბურთი). 21 (ცურვა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 18 (მძლეოსნობა), 21 (ცურვა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

სპორტულ გაზეთებზე

ფეხბურთი. პროფკავშირების თასის საკავშირო გათამაშება. II ლიგა, IX ზონა. 7 ივლისი. გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„შევარდენი“-სპი (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი).** დასაწყისი 19 საათზე.

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 7 ივლისი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ჩემპიონთა გაკვეთილები — **17.45 (1);** რიტმული ტანვარჯიში— **19.15 (2);** საკალათბურთო მიმოხილვა — **23.55 (1).**

რეგბი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მე-15 ტურის შეხვედრები. გათამაშების ლიდერი ქუთაისის „შენგელი“ კრასნოიარსკში დამარცხდა „ეტს“-თან — 0:12. მოსკოვის „ფილმ“ მოუგო თბილისის „შევარდენს“ — 16:6. სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: სსა (მონინო) — ასკ (ალმა-ათა) 3:3, „სლავა“ (მოსკოვი) — „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) 10:3, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ავიატორი“ (კიევი)— 10:7.

სატურნირო ცხრილის სათავეში კვლავ ქუთაისელი რეგბისტები არიან. მათ 37 ქულა აქვთ. 36 ქულით მეორე ადგილზეა „ავიატორი“, 35-35 ქულით მესამე ადგილს იყოფენ სსა და „ფილი“.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი 12 ივლისს, 12 საათზე, ინსტიტუტში შემსვლელთათვის აწყობს „ღია კარის“ დღეს

აბიტურიენტებს შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლები და ინსტიტუტის სტუდენტები. არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებზე, ინსტიტუტის სტრუქტურისა და სპეციფიკის შესახებ მათ ესაუბრებიან რექტორატის და პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი.



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(წერეთლის გამზირი № 2)

10 ივლისი ● ფეხბურთი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი)

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 8 ივლისიდან, ორგანიზაციებში — 8 და 9 ივლისს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

• • •

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 9 ივლისს. დასაწყისი 19 ს. 30 წ.

უამინდობის შემთხვევაში თამაში გადატანილი იქნება იმავე დროს „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 06998